# მეზობელზედ რა კაცს თვალი უჭირავს

მეზობელზედ რა კაცს თვალი უჭირავს,
ის არა იქს გაცემასა-ჭამასა!
ავ კაცს რაში უნდა გვარიშვილობა, -
შეაგინებენ კაი მამასა!

ზოგი კაცი დადის ჭიანჭველასავით,
გველის შხამი უძევს პირში იმ თავით!
ავი კაცის პირი იქნება ავით -
ნათქვამია, მე არ ვამბობ ამასა!..

ცუდი კაცი მკვდარივით აყუდია,
ან რათ უნდა, რათა ჰხურავს ქუდია?
აქლემივით ვინც რომ ტანში მრუდია,
რატომ იზავს ხიდზედ კისრის ზომასა?

თიხის ჯამი არ გახდება ჩინათა,
მუხის ქერქი კიდევ დ დარიჩინათა!
საიათნოვა შეინახე ჩინათა,
ვერ იშოვი იმისთანა კარგ ყმასა!